იაპონიის საელჩო
7დ კრწანისის ქ.; 0114 თბილისი

18 სექტემბერი, 2013

პრეს რელიზი

<u>იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული “სოციალური საგამანათლებლო ცენტრის შექმნა სოფელ ნიქოზში“ პროექტის საზეიმო გახსნის ცერემონია</u>

19 სექტემბერს , 12 საათზე, გორის რაიონის სოფელ ნიქოზში გაიმართება იაპონიის მთავრობის მიერ, ადამიანთა უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული, სოციალური საგამანათლებლო ცენტრის რეაბილიტაციის პროექტის საზეიმო **გახსნის ცერემონია.** ცერემონიას დაესწრებიან – იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ტოშიო კაიტანი, ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები და სხვა მაღალი რანგის სტუმრები.

ზემოხსენებული პროექტის საგრანტო შეთანხმებას ხელი 2012 წლის 11 სექტემბერს მოეწერა იაპონიის საელჩოსა და არასამთვრობო ორგანიზაცია „საქართველოს ამერიკელი მეგობრები“–ს შორის. პროექტის მიზანი ნიკოზის, ზემო ნიკოზის, ფხვენისის და ზემო ქვითის მოსახლეობის საგამანათლებლო გარემოს გაუმჯობესებაა. პროექტის ფარგლებში 100 ზრდასრული და მოზარდი მოსწავლე ისარგებლებს ამ პროექტით, რომლის ღირებულებაც 116,805 ა.შ.შ. დოლარს შეადგენს.

„გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ (GGP) საგრანტო პროგრამა დახმარებას უწევს შედარების მცირემაშტაბიან პროექტებს, რომლებიც ინიცირებულია ადგილობრივი მთავრობების, სამედიცინო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა არაკომერციული სექტორის მიერ და მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლოების ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესებას. პროგრამა ხორციელდება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა საზოგადო ჯანდაცვა, განათლება, სოციალური დახმარება, გარემოს გაუმჯობესება, სიღარიბის დაძლევა, სოფლის მეურნეობა, კულტურა და სხვა. 1998 წლიდან GGP–ის ფარგლებში დაფინანსდა 130 პრეოქტი, რომელთა საერთო ღირებულებამ 12,161,961 ა.შ.შ. დოლარი შეადგინა. იაპონიის ოფიციალური განვითარების დახმარებამ კი 362 მილიონ ა.შ.შ. დოლარს გადააჭარბა.

რეკონსტრუქციამდე

რეკონსტრუქციის შემდეგ

გახსნის ცერემონია